RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ესტონეთი და ომი უკრაინაში: აღმოსავლეთ ევროპელების მოსმენის დრო

ნინო ჩანადირი

192

ექსპერტის აზრი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ნინო ჩანადირი

ესტონეთი და ომი უკრაინაში: აღმოსავლეთ ევროპელების მოსმენის დროა

192

2022

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2022 წელი

ISSN 1512-4835
ISBN 978-9941-8-5141-4

ესტონეთი, პატარა ქვეყანა ბალტიის ზღვის სანაპიროზე, 1.3 მილიონი მოსახლეობით, ბალტიის სხვა სახელმწიფოებთან ერთად მაგალითად იქცა, როდესაც საქმე ეხება თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ უკრაინის მხარდაჭერას. 2022 წლის ზამთრიდან 3 ოქტომბრამდე უკრაინის დახმარების შესახებ ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით, ესტონეთი იმ ქვეყნებს შორისაა, რომელიც უკრაინას ყველაზე მეტად ეხმარება. ესტონეთის მიერ უკრაინისათვის გაწეული დახმარება მისი მთლიანი შიდა პროდუქტის 0.8%-ს აღემატება. ეს მოიცავს ფინანსურ, ჰუმანიტარულ და სამხედრო დახმარებას. თუმცა ესტონეთის ოფიციალურმა პირებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ეს საკმარისი არ არის და ყველა უნდა ეცადოს მეტი გააკეთოს, სანამ უკრაინა ჯერ კიდევ ომშია, რადგან „ქმედებები სიტყვებზე უფრო ხმამაღლა საუბრობენ.".[1]



ორმხრივი დახმარება დონორების მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით 2022 წლის 24 იანვრიდან 3 ოქტომბრამდე. წყარო: Statista.Com (https://www.statista.com/statistics/1303450/bilateral-aid-to-ukraine-in-a-percent-of-donor-gdp/)

ესტონეთის ოფიციალურმა პირებმა ბევრჯერ განმარტეს, რომ უკრაინისთვის გაწეული მხარდაჭერა ნაკარნახევია მორალური პასუხისმგებლობით, დაეხმარონ ქვეყანას, რომელშიც საერთო მოწინააღმდეგე, რუსეთი, შეიჭრა და უკრაინის ტერიტორიაზე საერთაშორისო დანაშაულს სჩადის. ამასთან ესტონეთი მოქმედებს საკუთარი ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების საჭიროებებიდან გამომდინარე, რაც უკავშირდება აღმოსავლეთევროპულ სცენაზე შექმნილ საერთო ვითარებას. იმისთვის, რომ გავიგოთ ესტონეთის ქმედებები და მათი მნიშვნელობა უკრაინის ომის დროს, საჭიროა ფართო პერსპექტივით შევხედოთ - გავითვალისწინოთ რუსეთთან დაკავშირებით ესტონეთის ისტორიული გამოცდილება, მისი უსაფრთხოების გამოწვევები, მისი ინტერესები და ამის მნიშვნელობა უკრაინის ომში, რომელიც გავლენას ახდენს ევროპის მთელ კონტინენტზე. ეს ასევე საჭიროა კითხვებზე პასუხის გასაცემად, თუ რა განაპირობებს ესტონეთის მოტივაციას დაეხმაროს უკრაინას ყველა შესაძლო გზით და რატომაა

ახლა მნიშვნელოვანი იმაზე მეტად, ვიდრე ოდესმე, რომ დასავლეთმა მოუსმინოს აღმოსავლეთ ევროპას მაშინ, როდესაც საქმე ეხება გაფრთხილებებს მომდევნო წლებში რუსეთისგან უსაფრთხოების გამოწვევების შესახებ, თუ დასავლური გაერთიანებული ფრონტი ვერ შეძლებს უზრუნველყოს მისი დამარცხება უკრაინის ომში?

უკრაინის ომის ესტონური აღქმის საფუძვლები

ესტონეთი, ნატოს წევრი ქვეყანა რუსეთის მეზობლად, სხვა აღმოსავლეთევროპული ქვეყნების (უკრაინის ჩათვლით) მსგავსად საბჭოთა წარსულისა და სისასტიკის მოზიარეა. ესტონურ საზოგადოებაში ჯერ კიდევ ცოცხლობს საბჭოთა დროინდელი მასობრივი გადასახლებებისა და მკვლელობების ხსოვნა. ესტონეთი ყოველ აგვისტოს აღნიშნავს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს – საბჭოთა კავშირიდან გათავისუფლებას და იხსენებს ე.წ. „სიმღერის რევოლუციას“ – ესტონეთის არაძალადობრივ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ.[2]

ესტონეთი ნატოს წევრი 2004 წელს გახდა, რაც ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის დაცულობის მეტ გარანტიებს იძლევა. ესტონეთის ოფიციალური პირები ხშირად აღნიშნავენ კიდეც, რომ რეგიონში გამოწვევების მიუხედავად, „ესტონეთი არის და იქნება დაცული“[3] საკუთარი თავდაცვის ძალების, ნატოს მოკავშირეების და ევროკავშირის პარტნიორების წყალობით. მიუხედავად ამისა, ესტონეთს პერიოდულად ისევ უდგება რუსეთიდან მომდინარე უსაფრთხოების გამოწვევები. მხოლოდ 2022 წლის ზაფხულში ესტონეთში რუსულმა ვერტმფრენებმა ორჯერ დაარღვიეს საჰაერო სივრცე,[4] 2021 წელს კი – ხუთჯერ.

ესტონეთისთვის უცხო არც კიბერშეტევებია. უკრაინაში ომის პარალელურად, ესტონეთმა ზაფხულში მიიღო გადაწყვეტილება საჯარო სივრცეებიდან აეღო საბჭოთა მონუმენტები, მათ შორის, ყველაზე ხშირად განხილული ნარვას ტანკის მონუმენტი. ნარვა ქალაქია რუსეთის საზღვართან, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა რუსულენოვანია. ეს ტანკი წითელი არმიის მიერ ნარვას დაკავების სიმბოლო იყო. ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილების მიუხედავად, ტანკის მონუმენტი აიღეს. საპასუხოდ, რუსეთში გადაწყდა, რომ ასეთივე მონუმენტი დადგმულიყო მდინარის გადაღმა, ესტონეთის საზღვართან, რუსულ მხარეს.[5] ძეგლების აღების შესახებ ესტონეთის გადაწყვეტილებას თან სდევდა რუსეთის კიბერშეტევა ესტონურ კერძო თუ საჯარო დაწესებულებებზე. ესტონური მხარის თანახმად, შეტევა არ იყო ეფექტური, თუმცა დაახასიათეს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე “ვრცელი” უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში.[6]

ის, თუ როგორ ხედავს რუსეთი ესტონეთს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გამოჩნდა დიმიტრი მედვედევის კომენტარში, რომელიც მან გააკეთა ესტონეთის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით – რუსი ტურისტები აღარ შეეშვა ქვეყანაში.

კომენტარში მედვედევმა ესტონეთის დამოუკიდებლობას რუსეთის შეცდომა უწოდა, რაც რუსულ დამოკიდებულებას ასახავს.[7] მწვავე რეაქციის მიუხედავად, ესტონეთმა შეწყვიტა რუსი ტურისტების მიღება და ამის გაკეთებას სხვა ქვეყნებსაც მოუწოდებს. ესტონეთში ამბობენ, რომ ეს ეფექტური სანქციაა, რადგან მოგზაურობაზე ხელი მიუწვდება რუსეთის მოქალაქეების მხოლოდ მცირე ნაწილს – დიდი ქალაქების პრივილეგირებულ მოსახლეობას.[8] რუსებისთვის ამ შესაძლებლობის წართმევა ესტონეთში მართებულად ჩაითვალა როგორც მორალური პერსპქტივიდან – არ არის ნორმალური, რომ რუსეთის მოქალაქეები ჩვეულებრივ განაგრძობდნენ ცხოვრებას, როდესაც მათი ქვეყანა უკრაინაში ომის დანაშაულს სჩადის, ასევე რეალური შედეგების მოლოდინით – რუსეთის საზოგადოების ეს პრივილეგირებული ნაწილი უკმაყოფილო იქნებოდა რა დისკომფორტით, ამაში გარკვეულწილად საკუთარი პოლიტიკური ელიტის პასუხისმგებლობას დაინახავდა.

რეგიონში არსებული ვითარებიდან გამომდინარე და რუსეთიდან მომდინარე გამოწვევის გამო მოულოდნელი არ არის, რომ ესტონეთი გეგმავს გაზარდოს საკუთარი თავდაცვის ხარჯები. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყნის თავდაცვისთვის ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ს 2024 წლისთვის მიაღწევს.[9]

რუსეთის, როგორც უსაფრთხოების გამოწვევის არსებობა ესტონეთს აერთიანებს არა მხოლოდ ბალტიის სხვა სახელმწიფოებთან, არამედ უკრაინასა და საქართველოსთანაც. ამიტომაც ესტონეთი ყოველთვის მხარს უჭერდა ამ სახელმწიფოებს და ისტორიულად, აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ამ ორ ქვეყანასაც ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა ესტონეთთან. რუსეთის უკრაინაში შეჭრა ესტონეთში აღიქვეს არა მხოლოდ ერთი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დარღვევად, არამედ – რუსული იმპერიული პოლიტიკის გაგრძელებად, რომელიც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს საკუთარი გავლენის სფეროდ მოიაზრებს. ამ კონტექსტში უკრაინაში შეჭრა მხოლოდ ერთი ქვეყნის პრობლემა არ არის და სიგნალია სხვებისთვისაც, რომ თუ რუსეთი ამჯერად წარმატებით შეძლებს საკუთარი ამოცანის შესრულებას უკრაინაში, მოსალოდნელია, რომ სხვა ქვეყნების რიგიც დადგეს. ამ რეალობის სიღრმისეულად გააზრებამ განაპირობა ესტონეთის დიდი მხარდაჭერა უკრაინის მიმართ სხვადასხვა მიმართულებით.

თავისუფლების მოედანი, ტალინი, 2022 (ნინო ჩანადირის ფოტო)

დახმარება პოლიტიკურად, სამხედრო გზით და განვითარებისთვის

ესტონეთმა უკრაინას დახმარება სხვადასხვა გზით გაუწია. პოლიტიკურ მხარდაჭერაზე საუბრისას უნდა ითქვას, რომ ესტონეთი უკრაინის მნიშვნელოვანი მხარდამჭერი იყო რუსეთის შეჭრის პირველივე დღიდან. ეს გამოიხატა არა მხოლოდ სიტყვებში, არამედ ოფიციალურ ქმედებებშიც. 2022 წლის აპრილში ესტონეთი პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც რუსეთის ქმედებები უკრაინაში გენოციდად აღიარა.[10] 24 სექტემბერს ესტონეთმა დეკლარაცია შეიტანა საერთაშორისო სასამართლოში (international Court of Justice) *უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ* საქმესთან დაკავშირებით, სადაც დააფიქსირა პოზიცია, რომ რუსეთი მონაწილეა კონფლიქტისა, რომელიც უკრაინაში გენოციდს იწვევს.[11] 18 ოქტომბერს ესტონეთის პარლამენტმა რუსეთი ტერორისტულ რეჟიმად გამოაცხადა და ამით გაიმეორა ბალტიელი მეზობლების – ლატვიისა და ლიეტუვის – მაგალითი.[12]

ესტონეთი ყოველთვის იყო იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ადვოკატირებას უწევენ უკრაინასა და საქართველოს ნატოს და ევროკავშირის დონეზე და მხარს უჭერდა ამ ქვეყნების ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას და უზიარებდა რეფორმების გამოცდილებას. 30 ოქტომბერს, რამდენიმე საათის შემდეგ, რაც რუსეთმა გამოაცხადა უკრაინის რეგიონების – ხერსონის, ზაპოროჟიას, ლუჰანსკის და დონეცკის ანექსია,[13] უკრაინამ ოფიციალურად შეიტანა განაცხადი

ნატოს წევრობაზე.[14] 3 ოქტომბერს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 9 ქვეყნის პრეზიდენტმა, ესტონეთის ჩათვლით, გამოუცხადეს საკუთარი მხარდაჭერა უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას და 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, უკრაინა და საქართველო გახდებიან ნატოს წევრები.[15] ამან კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ევროპის ამ ნაწილში ერთნაირად აღიქვამენ რუსეთის აგრესიას და რომ უკრაინის ევროატლანტიკურ ოჯახში გაერთიანება მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება სამხედრო მხარდაჭერას, ესტონეთი უკრაინას აწვდის იარაღს, სამხედრო აღჭურვილობას, კომუნიკაციის საშუალებებს და სამედიცინო აღჭურვილობას. ის ასევე სთავაზობს წვრთნებს იმ სამხედროებს, რომლებიც ბრძოლის ველზე არიან.[16] ესტონეთი მათ შორისაა, ვინც დიდი სამხედრო შესაძლებლობების ქვეყნებს არწმუნებდა გაეწიათ სამხედრო მხარდაჭერა უკრაინისთვის. უკანასკნელ პერიოდში ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დასავლელ პარტნიორებს, ამერიკისა და საფრანგეთის ჩათვლით, ახსენებდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად გაეგზავნათ საჰაერო თავდაცვის სისტემები უკრაინისთვის.[17]

სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერის გარდა, ესტონეთი ჩართულია უკრაინის აღდგენის გეგმაშიც. ესტონეთი კონცენტრირებულია ჟიტომირის რეგიონის აღდგენაზე. უკვე ითქვა, რომ ესტონეთი ააშენებს საბავშვო ბაღს ოვრუჩში და ამაში ესტონური კერძო კომპანიებიც ჩაერთვებიან.[18]

ესტონეთი ერთ-ერთია იმ სახელმწიფოებს შორის, რომელიც ასევე იღებს უკრაინელ ლტოლვილებს. ოქტომბრის მიწურულისთვის არსებული მონაცემებით დაახლოებით 112 000-მა ლტოლვილმა გადალახა საზღვარი და დაახლოებით 61 000 დარჩა ესტონეთში.[19] თუმცა ქვეყანაში აცხადებენ, რომ ისინი ემზადებიან საზღვრის კვეთის უფრო მაღალი მაჩვენებლებისთვისაც. სასაზღვრო პოლიცია მზადაა მეტი ლტოლვილის მისაღებად, თუმცა ქვეყანაში ცდილობენ მზად იყვნენ ყველა სცენარისთვის, იმისთვისაც, რაც ბელარუსი-პოლონეთის საზღვარზე მოხდა, რადგან ზოგჯერ საზღვარს უკრაინელები რუსეთიდანაც კვეთენ, რაც შესაძლოა რუსეთმა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.[20]

დროა ვუსმინოთ აღმოსავლეთ ევროპელებს

საიდუმლო არ არის, რომ აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთისგან შექმნილ უსაფრთხოების გამოწვევებს კონტინენტის დასავლეთ ნაწილში დიდხანს არ აღიქვამდნენ შემაშფოთებლად. მიუხედავად ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოების გაფრთხილებებისა, რომ რუსეთში დიქტატორის დაშოშმინება ვერ იქნებოდა წარმატებული გზა რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რუსეთთან მაინც ყალიბდებოდა პარტნიორობა ენერგეტიკისა და სხვა სექტორებში, 2008 წლის საქართველოზე თავდასხმისა და 2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდგომაც. როდესაც რუსეთი 2022 წლის 24 თებერვალს კვლავ შეიჭრა უკრაინაში, უკვე განგაშის ზარმა ჩამოკრა სრულიად დასავლური სამყაროსთვის და ნათელი გახდა, რომ საჭირო იყო რადიკალური ზომების მიღება, რადგან უკრაინა არ იქნებოდა უკანასკნელი ქვეყანა, რომელიც რუსულ აგრესიას

გამოცდიდა. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობდა მოლოდინი, რომ შეხედულებები, თუ როგორ უნდა დასრულებულიყო ეს კონფლიქტი, ევროპაში განსხვავებული იქნებოდა. რუსეთისთვის დასავლეთის დაწესებული სანქციები გავლენას ახდენს დასავლურ ეკონომიკებზეც. დიდი ზიანის თავიდან ასაცილებლად ზოგისთვის შესაძლოა უფრო მისაღები იყოს სიტუაციის სწრაფი მოგვარება, რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების სანაცვლოდ უკრაინის ტერიტორიების ნაწილის დათმობის ხარჯზეც კი. უკრაინულმა მხარემ კი გადაჭრით თქვა უარი ნებისმიერი ასეთი სცენარის დაშვებაზე და განაცხადა, რომ უკრაინა იბრძოლებს საკუთარი მიწისთვის.[21] აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, ესტონეთის ჩათვლით, ღრმად სწამთ, რომ ამ ვითარებაში ერთადერთი სწორი გზა უკრაინის დახმარება და ჩადენილი დანაშაულებისთვის რუსეთის დასჯაა. რუსეთმა წინა შემთხვევებში, საქართველოსა და უკრაინაზე თავდასხმისას, წარმატებით შეძლო მძიმე შედეგების თავიდან აცილება, რამაც ამჟამინდელ ვითარებამდე მიგვიყვანა. ესტონეთის პრემიერმა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ახლა მნიშვნელოვანია, რომ სხვა სახელმწიფოებმა მათ მოუსმინონ.

„საქართველოს, დონბასის და ყირიმის შემთხვევებში, ჩვენ, და „ჩვენში“ ვგულისხმობ ევროკავშირსა და დანარჩენ თავისუფალ სამყაროს, ვიმოქმედეთ ისე, როგორც ეს ევროკავშირის დიდმა ქვეყნებმა თქვეს: მოდი, დავდოთ სამშვიდობო ხელშეკრულება და ეს ყოველივე დასრულდება. თუმცა რუსეთს ესმის მხოლოდ სისუსტე და ძალა და სამშვიდობო ხელშეკრულება მათთვის სისუსტის ჩვენებას ნიშნავს: ტერიტორიების ჩაბარება და რუსეთს და რუსებს მაინც არაფერი ემუქრებათ. ამის შედეგად ყველა შემდეგი ნაბიჯი რუსეთის მხრიდან უფრო თამამი იქნება ”, – თქვა კაია კალასმა.[22]

ომის დასრულებას სამშვიდობო ხელშეკრულებით, რომელიც რუსეთს კაცობრიობის წინაშე საკუთარი დანაშაულის მიუხედავად, დაუსჯელს დატოვებს, ესტონელი ოფიციალური პირები სასურველ მშვიდობად არ აღიქვამენ. მაშინ, როდესაც ცეცხლის შეწყვეტა ზოგიერთი ქვეყნისთვის მთავარი მიზანია, ესტონეთის პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ ეს არ დაასრულებს ტერორს ოკუპირებულ ტერიტორიებზე – „თუ აგრესორი არ დაისჯება და ჩვენ ჩვეულ ცხოვრებას დავუბრუნდებით, მაშინ ყველაფერი გაგრძელდება“.[23] უკანასკნელ პერიოდში ესტონეთის თავდაცვის მინისტრი ავრცელებდა გაფრთხილებას, რომ თუ დასავლეთი შეწყვეტს რუსეთზე ზეწოლას და არ უზრუნველყოფს უკრაინის გამარჯვებას, რუსეთი შეძლებს საკუთარი ძალების აღდგენას 2-4 წელიწადში,[24] რაც ნიშნავს, რომ აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის მხრიდან უსაფრთხოების გამოწვევები შენარჩუნდება იქამდე, სანამ რუსეთის იმპერიული პოლიტიკა არ დასრულდება. შესაბამისად, ესტონეთისთვის აგრესორის დასჯას გადამწყვეტია და ამის მისაღწევად დასავლური ერთიანი ფრონტის შენაჩუნებაა საჭირო.

დამატებით, ესტონეთში უკრაინის გამარჯვება „თავისუფალი სამყაროს“ გამარჯვებად აღიქმება და მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესს მძიმე შედეგები მოადწვა ევროპისა და მისი პარტნიორებისთვის, ესტონეთის ამჟამინდელ და ყოფილ ოფიციალურ პირებს მიაჩნიათ, რომ ეს არის ფასი, რომლის გადახდაც ღირს საერთო სიკეთისთვის. როგორც ესტონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა კერსტი კალი-

ულაიდმა თქვა, თავისუფალი სამყაროს წარუმატებლობა ამ ომში გამარჯვებაში, სხვა ავტოკრატებსაც წაახალისებს. კარგი გაკვეთილებია 2008 წლის საქართველოს და 2014 წლის უკრაინის შემთხვევები, როდესაც აგრესიაზე არასაკმარისმა პასუხმა მხოლოდ წაახალისა შემდგომი აგრესია, ანუ ის, რაც 2022 წელს დაიწყო.[25]

შეჯამება

ესტონეთი, როგორც ქვეყანა რუსეთის მეზობლად, რომელსაც აქვს რუსეთის სისასტიკის ძველი გამოცდილება და უსაფრთხოების ამჟამინდელი გამოწვევები, უკრაინის ომს ხედავს არა მხოლოდ როგორც ერთი ქვეყნის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის საკითხს, არამედ როგორც აღმოსავლეთევროპული უსაფრთხოების საკითხს. უკრაინის გამარჯვება და ჩადენილი დანაშაულებისთვის რუსეთის პასუხისგებაში მიცემა უმნიშვნელოვანესია სტაბილური უსაფრთხოების გარემოსთვის აღმოსავლეთ ევროპაში. რუსეთის თავდასხმა უკრაინაზე ესტონეთში აღიქვეს, როგორც სიგნალი რუსეთიდან სხვა აღმოსავლეთევროპული ქვეყნებისთვის, რომ მომავალშო შესაძლოა ისინი აღმოჩნდნენ შემდეგი. ესტონეთი, როგორც რუსეთის მეზობელი, რომელიც ესტონურ დამოუკიდებლობას „შეცდომად“ მიიჩნევს, ფიქრობს, რომ მისი სამომავლო უსაფრთხოება დამოკიდებულია ვითარებაზე უკრაინაში და იმაზე, რამდენად შეძლებს რუსეთი, როგორც დამნაშავე, თავიდან აირიდოს პასუხისმგებლობა ისე, როგორც წინა შემთხვევებში მოხდა.

ესტონეთი, ესმის რა არსებული ვითარება, ერთ-ერთი მოწინავეა უკრაინის დახმარებაში სამხედრო, პოლიტიკური და ჰუმანიტარული მიმართულებებით. ის ასევე რჩება უკრაინის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მხარდამჭერადაც. ესტონეთი კისრულობს მისიას, დაარწმუნოს სხვა ქვეყნები უკრაინის მხარდაჭერის აუცილებლობაში და მის მნიშვნელობაში დასავლური უსაფრთხოების, ერთობის და სტაბილურობისთვის. ის ხშირად ახსენებს სხვა დასავლურ ქვეყნებს კოლექტიური დასავლეთის ძველ შეცდომებს, რამაც საშუალება მისცა რუსეთს გაეგრძელებინა აგრესიული საგარეო პოლიტიკა და რომ ამჯერად მნიშვნელოვანია ომის შემდეგ მშვიდობა მართლაც სტაბილური იყოს. ამისთვის კი საჭიროა რუსეთს არ მიეცეს საშუალება გაექცეს სასჯელს სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით, რომელსაც მარტივად დაარღვევს, როგორც ეს წინა შემთხვევებში მოხდა. ახლა მნიშვნელოვანია მთელმა დასავლურმა სამყარომ ისწავლოს წარსული გამოცდილებებიდან და ამჯერად მოუსმინოს აღმოსავლეთ ევროპულ ხმებს, როდესაც საქმე ეხება უსაფრთხოების გამოწვევებს და გზებს, თუ როგორ შეიძლება ამ გამოწვევების შემცირება.

შენიშვნები

1. “Estonia sent Ukraine aid worth 0.8 percent of GDP in first month of war”, ERR.ee, 20 April, 2022 https://news.err.ee/1608570313/estonia-sent-ukraine-aid-worth-0-8-percent-of-gdp-in-first-month-of-war
2. Singing revolution archives, Estonian World https://estonianworld.com/tag/singing-revolution/
3. “Kaja Kallas: Estonia is and will remain protected”, ERR.ee, 22 September, 2022 https://news.err.ee/1608725641/kaja-kallas-estonia-is-and-will-remain-protected
4. ” Russian helicopter violates Estonian airspace in Koidula region”, ERR.ee, 10 August, 2022 https://news.err.ee/1608681175/russian-helicopter-violates-estonian-airspace-in-koidula-region
5. “Russian authorities to install tank monument across river from Narva”, ERR.ee, 1 September, 2022, https://news.err.ee/1608701224/russian-authorities-to-install-tank-monument-across-river-from-narva
6. “Estonia subjected to ‘extensive’ cyberattacks after moving Soviet monuments”, ERR.ee, 18 August, 2022 https://news.err.ee/1608688201/estonia-subjected-to-extensive-cyberattacks-after-moving-soviet-monuments
7. “Medvedev to Estonian PM: You being at large not your merit, but our shortcoming”, The Baltic Times, 10 August, 2022 https://www.baltictimes.com/medvedev_to_estonian_pm__you_being_at_large_not_your_merit__but_our_shortcoming/
8. “Estonian PM defends ban on Russian tourists”, Emerging Europe, 15 September, 2022 https://emerging-europe.com/news/estonian-pm-defends-ban-on-russian-tourists/
9. ” Pevkur: To ensure sustainable financing, defence expenditures must reach 3%”, Ministry of Defense, 12 October, 2022 https://www.kaitseministeerium.ee/en/news/pevkur-ensure-sustainable-financing-defence-expenditures-must-reach-3
10. “Estonia becomes first country to recognize Russia’s actions in Ukraine as genocide”, The Kyiv Independent, 21 April, 2022 https://kyivindependent.com/uncategorized/estonia-becomes-first-country-to-recognize-russias-actions-in-ukraine-as-genocide
11. “Estonia submits a declaration of intervention to International Court of Justice in the case of Ukraine versus Russia”, Permanent Mission of Estonia to the UN, 24 September, 2022 https://un.mfa.ee/estonia-submits-a-declaration-of-intervention-to-international-court-of-justice-in-the-case-of-ukraine-versus-russia/
12. “Riigikogu declared Russia a terrorist regime”, Riigikogu, 18 October, 2022 https://www.riigikogu.ee/en/news-from-committees/foreign-affairs-committee/riigikogu-declared-russia-a-terrorist-regime/
13. “Putin annexes four regions of Ukraine in major escalation of Russia’s war”, The Guardian, 30 September, 2022 https://www.theguardian.com/world/2022/sep/30/putin-russia-war-annexes-ukraine-regions
14. “Ukraine applies for Nato membership after Russia annexes territory”, The Guardian, 30 September, 2022 https://www.theguardian.com/world/2022/sep/30/ukraine-applies-for-nato-membership-after-russia-annexes-territory
15. “Updates: Russia’s invasion of Ukraine – reactions in Estonia”, Estonian World https://estonianworld.com/security/blog-russia-ukraine-crisis-a-view-from-estonia/?fbclid=IwAR0VnGAYe1yez_D-qj-XXsAkn4xuGBpqX5TmxrkyZUl_mIySQKZcUaP1sgY
16. “Estonia sends more ammunition protective equipment to Ukraine”, ERR.ee, 7 October, 2022 https://news.err.ee/1608742171/estonia-sends-more-ammunition-protective-equipment-to-ukraine
17. “Reinsalu to French FM Colonna: West must send more weapons to Ukraine”, ERR.ee, 25 October, 2022 https://news.err.ee/1608765331/reinsalu-to-french-fm-colonna-west-must-send-more-weapons-to-ukraine

18. ”Estonia is building a kindergarten in the town of Ovruch, in Western Ukraine”, ESTDEV, 8 July, 2022 https://estdev.ee/development-cooperation-2/estonia-is-building-a-kindergarten-in-the-town-of-ovruch-in-western-ukraine/?lang=en

19. Statistics and reports by Social Insurance Board: https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/et/asutus-kontaktid/statistika-ja-aruandlus?fbclid=IwAR3u6R4x5sUjHYtLnt0GG0RhTt2GCGY0b4kCKA7lsUqWuo_h9jZD33zAMEY#ua-stat

20. “Interior minister: Estonia prepared for arrival of more refugees”, ERR.ee, 4 October, 2022 https://news.err.ee/1608738589/interior-minister-estonia-prepared-for-arrival-of-more-refugees

21. Zoya Sheftalovich,” Zelenskyy: Macron asked Ukraine to make concessions to help Putin save face“, Politico, 13 May, 2022 https://www.politico.eu/article/zelenskyy-macron-asked-ukraine-concession-help-putin-save-face/

22. Ede Schank Tamkivi, “Prime Minister Kaja Kallas: You cannot be bullied if you have strong friends”, Life in Estonia, October 2022 https://investinestonia.com/prime-minister-kaja-kallas-you-cannot-be-bullied-if-you-have-strong-friends/?fbclid=IwAR1EA-pgQCEeMS-J_a1yg6miNaHJn0PVC1e-9tfqPWl0Xx-3iXmm2GKoei0

23. **Benjamin Bathke**, “Estonia’s Prime Minister: ‘We Need to Help Ukraine Win’, Kaja Kallas talks about the threat from Russia, the future of the war, and what should come next for NATO in the Baltics”, Foreign Policy, 3 June, 2022 https://foreignpolicy.com/2022/06/03/estonia-russia-ukraine-war-kallas-baltics-nato/

24. “Russia can rebuild military in 2-4 years: Estonian defense minister in Washington DC”, The Baltic Times, 19 October, 2022 https://www.baltictimes.com/russia_can_rebuild_military_in_2-4_years__estonian_defense_minister_in_washington_dc/?fbclid=IwAR13QclQ3kKvgcVn9E6XovJT8m-VgRW2XILHNRltgRscjsm8dL0TXEF2nM4

25. Ashish Kumar Sen, “Estonia’s Ex-President Kaljulaid: The future of the free world is at stake in Ukraine”, United States Institute of Peace, 11 May, 2022 https://www.usip.org/publications/2022/05/estonias-ex-president-kaljulaid-future-free-world-stake-ukraine?fbclid=IwAR3N7RtdjDh08AUYCBWJpb1dUp0RIaUxSZBYapY3BIUPm8Yz9xMb5L5wmRM

ბიბლიოგრაფია

- Bathke, B. “Estonia’s Prime Minister: ‘We Need to Help Ukraine Win’, Kaja Kallas talks about the threat from Russia, the future of the war, and what should come next for NATO in the Baltics”, Foreign Policy, 3 June, 2022 https://foreignpolicy.com/2022/06/03/estonia-russia-ukraine-war-kallas-baltics-nato/
- Kumar, A. “Estonia’s Ex-President Kaljulaid: The future of the free world is at stake in Ukraine”, United States Institute of Peace, 11 May, 2022 https://www.usip.org/publications/2022/05/estonias-ex-president-kaljulaid-future-free-world-stake-ukraine?fbclid=IwAR3N7RtdjDh08AUYCBWJpb1dUp0RIaUxSZBYapY3BIUPm8Yz9xMb5L5wmRM
- Sheftalovich, Z. ” Zelenskyy: Macron asked Ukraine to make concessions to help Putin save face“, Politico, 13 May, 2022 https://www.politico.eu/article/zelenskyy-macron-asked-ukraine-concession-help-putin-save-face/
- Tamkivi, E. “Prime Minister Kaja Kallas: You cannot be bullied if you have strong friends”, Life in Estonia, October 2022 https://investinestonia.com/prime-minister-kaja-kallas-you-cannot-be-bullied-if-you-have-strong-friends/?fbclid=IwAR1EA-pgQCEeMS-J_a1yg6miNaHJn0PVC1e-9tfqPWl0Xx-3iXmm2GKoei0
- “Estonia sent Ukraine aid worth 0.8 percent of GDP in first month of war”, ERR.ee, 20 April, 2022 https://news.err.ee/1608570313/estonia-sent-ukraine-aid-worth-0-8-percent-of-gdp-in-first-month-of-war
- “Estonia becomes first country to recognize Russia’s actions in Ukraine as genocide”, The Kyiv Independent, 21 April, 2022 https://kyivindependent.com/uncategorized/estonia-becomes-first-country-to-recognize-russias-actions-in-ukraine-as-genocide
- ”Estonia is building a kindergarten in the town of Ovruch, in Western Ukraine”, ESTDEV, 8 July, 2022 https://estdev.ee/development-cooperation-2/estonia-is-building-a-kindergarten-in-the-town-of-ovruch-in-western-ukraine/?lang=en
- “Medvedev to Estonian PM: You being at large not your merit, but our shortcoming”, The Baltic Times, 10 August, 2022 https://www.baltictimes.com/medvedev_to_estonian_pm__you_being_at_large_not_your_merit__but_our_shortcoming/
- ” Russian helicopter violates Estonian airspace in Koidula region”, ERR.ee, 10 August, 2022 https://news.err.ee/1608681175/russian-helicopter-violates-estonian-airspace-in-koidula-region
- “Estonia subjected to ‘extensive’ cyberattacks after moving Soviet monuments”, ERR.ee, 18 August, 2022 https://news.err.ee/1608688201/estonia-subjected-to-extensive-cyberattacks-after-moving-soviet-monuments
- “Russian authorities to install tank monument across river from Narva”, ERR.ee, 1 September, 2022, https://news.err.ee/1608701224/russian-authorities-to-install-tank-monument-across-river-from-narva
- “Estonian PM defends ban on Russian tourists”, Emerging Europe, 15 September, 2022 https://emerging-europe.com/news/estonian-pm-defends-ban-on-russian-tourists/
- “Kaja Kallas: Estonia is and will remain protected”, ERR.ee, 22 September, 2022 https://news.err.ee/1608725641/kaja-kallas-estonia-is-and-will-remain-protected
- “Estonia submits a declaration of intervention to International Court of Justice in the case of Ukraine versus Russia”, Permanent Mission of Estonia to the UN, 24 September, 2022 https://un.mfa.ee/estonia-submits-a-declaration-of-intervention-to-international-court-of-justice-in-the-case-of-ukraine-versus-russia/
- “Putin annexes four regions of Ukraine in major escalation of Russia’s war”, The Guardian, 30 September, 2022 https://www.theguardian.com/world/2022/sep/30/putin-russia-war-annexes-ukraine-regions
- “Ukraine applies for Nato membership after Russia annexes territory”, The Guardian, 30 September, 2022 https://www.theguardian.com/world/2022/sep/30/ukraine-applies-for-nato-membership-after-russia-annexes-territory

- “Interior minister: Estonia prepared for arrival of more refugees”, ERR.ee, 4 October, 2022 https://news.err.ee/1608738589/interior-minister-estonia-prepared-for-arrival-of-more-refugees
- “Estonia sends more ammunition protective equipment to Ukraine”, ERR.ee, 7 October, 2022 https://news.err.ee/1608742171/estonia-sends-more-ammunition-protective-equipment-to-ukraine
- ” Pevkur: To ensure sustainable financing, defence expenditures must reach 3%”, Ministry of Defense, 12 October, 2022 https://www.kaitseministeerium.ee/en/news/pevkur-ensure-sustainable-financing-defence-expenditures-must-reach-3
- “Riigikogu declared Russia a terrorist regime”, Riigikogu, 18 October, 2022 https://www.riigikogu.ee/en/news-from-committees/foreign-affairs-committee/riigikogu-declared-russia-a-terrorist-regime/
- “Russia can rebuild military in 2-4 years: Estonian defense minister in Washington DC”, The Baltic Times, 19 October, 2022 https://www.baltictimes.com/russia_can_rebuild_military_in_2-4_years__estonian_defense_minister_in_washington_dc/?fbclid=IwAR13QclQ3kKvgcVn9E6XovJT8m-VgRW2XILHNRItgRscjsm8dL0TXEF2nM4
- “Reinsalu to French FM Colonna: West must send more weapons to Ukraine”, ERR.ee, 25 October, 2022 https://news.err.ee/1608765331/reinsalu-to-french-fm-colonna-west-must-send-more-weapons-to-ukraine
- “Updates: Russia’s invasion of Ukraine – reactions in Estonia”, Estonian World https://estonianworld.com/security/blog-russia-ukraine-crisis-a-view-from-estonia/?fbclid=IwAR0VnGAYe1yez_D-qj-XXsAkn4xuGBpqX5TmxrkyZUl_mIySQKZcUaP1sgY
- Singing revolution archives, Estonian World https://estonianworld.com/tag/singing-revolution/
- Statistics and reports by Social Insurance Board: https://www.sotsiaalkindlustusamet.ee/et/asutus-kontaktid/statistika-ja-aruandlus?fbclid=IwAR3u6R4x5sUjHYtLnt0GG0RhTt2GCGY0b4kCKA7lsUqWuo_h9jZD33zAMEY#ua-stat